ბრძანება:**ბ24. 242519513**
თარიღი:**14/07/2025**

კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების განხორციელების მიზნით კომისიის შექმნისა და პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის N:04-2425184179 მომართვის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების განხორციელების მიზნით კომისიის შემადგენლობა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების წესი დანართი N2-ის შესაბამისად.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. № 12)

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების კომისიის შემადგენლობა

1. კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

2. იდა ქვარაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. მაია ჩიტაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

4. ხათუნა დარასელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

5. ნათია ჩიტაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

6. ქეთევან ესართია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის საფინანსო–საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

7. მანუჩარ სამუშია - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ დირექტორი - კომისიის წევრი;

8. ნათია ფიფია - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ დირექტორი - კომისიის წევრი;

9. ნატალია კემულარია - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

10. ანზორ ოყუჯავა - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის დირექტორი;

11. გიორგი კაშია - ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

12. მაია ნაყოფია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი.

კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების წესი

ეს წესი განსაზღვრავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პირობებს, რომლებიც ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სამიზნე ჯგუფებზე.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი პირობები

1. კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების პროგრამის განსახორციელებლად, ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება/თანადაფინანსება) პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ კულტურის მიმართულებით მომუშავე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული/თანადაფინანსებული პროექტი უნდა განხორციელდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3. კულტურის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაცია (შემდეგში აპლიკანტი) უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ისარგებლოს კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების პროგრამით.

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის მიმართულების პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამის განსახორციელებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, მერის ბრძანებით შექმნილია კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების კომისია;

5. კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით, კანონიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

6. კომისიაში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 2. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

1. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, კულტურული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამიდან (პროგრამული კოდი: 05 02 04);

2. დაფინანსებული პროექტის თანხის ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება და მონიტორინგი

1. პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილება, რომელიც ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ამ წესთან;

2. აპლიკანტის მიერ ამ წესით განსაზღვრული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ხარვეზის აღმოსაფხვრელად, კულტურის განყოფილება განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. თუ დაინტერესებული პირი აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

3. ამ წესთან და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი განცხადებები და მასზე დართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინება კულტურის მიმართულების პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსების მიზნით შექმნილ კომისიას;

4. კომისიის სხდომას უნდა ესწრებოდეს განმცხადებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი (შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში) და მოახდინოს პროექტის პრეზენტაცია.

5. აპლიკანტმა განცხადება და მასზე დართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია, სანოტარო წესით დამოწმებულ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანთან ერთად;

6. პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსება ხორციელდება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 4. კომისიის მიზანი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზარდულ საქმეთა სამსახურის კულტურის სფეროს პროექტების დაფინანსება/თანადაფინასების პროგრამის ფარგლებში, კულტურის მიმართულების პროექტებისა და კულტურის განვითარებით/პოპულარიზაციით დაინტერესებული ორგანიზაციების ფინანსური ხელშეწყობა და განვითარება.

მუხლი 5. კომისიის ფუნქციონირების წესი

1. კომისიის სხდომებს იწვევს და უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისიის თავმჯდომარე წარმოადგენს კომისიას და მოქმედებს მისი სახელით.

3. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილებისას გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, დამსწრე წევრები და მდივანი.

5. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის გამართულად ფუნქციონირებას და პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომათა მასალების შენახვასა და დაცვაზე;

მუხლი 6. კომისიის წევრის უფლება/მოვალეობა

1. კომისიის წევრის უფლებამოსილებაა:

ა) მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში;

ბ) ზეპირად ან წერილობით გამოხატოს საკუთარი მოსაზრება;

გ) ხმის უფლებით მონაწილეობდეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

დ) მიიღოს ინფორმაცია კომისიის საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

2. კომისიის წევრის ვალდებულებაა:

ა) დაიცვას წინამდებარე წესი;

ბ) არ გაახმაუროს კომისიის წევრობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

გ) შეისწავლოს საპროექტო წინადადებები;

დ) საჭიროებისამებრ მოითხოვოს პროექტთან დაკავშრებით დამატებითი დოკუმენტაცია.

3. კომისიის წევრი ანგარიშვალდებულია კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 7. კომისიის ანგარიშვალდებულება

კომისია ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

მუხლი 8. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებისას;

გ) გარდაცვალებისას;

დ) გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებისას;

ე) როტაციის წესით ცვლილებისას.

თავი II

საპროექტო წინადადებების სფერო, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, განაცხადის მიღების წესი, შერჩევის პროცედურები

მუხლი 9. საპროექტო წინადადებები

1. საპროექტო წინადადებები უნდა შემოიფარგლოს შემდეგი საკითხებით:

ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზება მუნიციპალიტეტის მასშტაბით;

ბ) ლიტერატურული, მუსიკალური თუ თეატრალიზებული პერფორმანსები;

გ) კონცეპტუალური არტ-გამოფენები;

დ) ინოვაციური ვიზუალური ინსტალაციები;

ე) კულტურული, საგანმანათლებლო და სახელოვნებო მიმართულების პოპულარიზებაზე ორიენტირებული პროექტები.

ვ) პროექტები, რომლებიც შესაძლოა გულისხმობდეს არსებული შემოქმედებითი/ან არქიტექტურული სივრცეების გადახალისებასა და განვითარებას, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების სერიების გასამართავად.

მუხლი 10. საპროექტო წინადადებების მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. საპროექტო წინადადებების მიღების წესი:

ა) საპროექტო წინადადების ინიცირების უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც პროექტს განახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამიზნე ჯგუფებისთვის.

ბ) საპროექტო წინადადება შევსებული და წარდგენილი უნდა იქნას ფორმა N1-ის შესაბამისად.

გ)საპროექტო წინადადების ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

დ) საპროექტო წინადადება, რომლის ბიუჯეტი არ აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს, არ საჭიროებს თანადაფინანსებას, ხოლო 5 000-დან 10 000 ლარის ბიუჯეტის მქონე საპროექტო განაცხადის შემთხვევაში, განმცხადებლის თანადაფინანსების წილი განისაზღვროს წარმოდგენილი პროექტისთვის მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 10%-ისა.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები:

ა) მერის სახელზე წარმოდგენილი განცხადება პროექტის დაფინანსების შესახებ ფორმა N1-ის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა დაერთოს საკონკურსო პირობებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3. შემოსული საპროექტო წინადადებები ელექტრონული ფორმით გადაეგზავნებათ კომისიის წევრებს.

მუხლი 11. პროექტის განხორციელების და ანგარიშწორების წესი

1. პროექტის განხორციელება და ანგარიშწორება უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, ამ წესის (ფინანსური მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი შესრულების შინაარსობრივი ანგარიშის - ფორმა N2 გათვალისწინებით) და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში წარმოდგენილ უნდა იქნეს ანგარიში და მასთან ერთად აქტივობების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, პროექტში მონაწილე პირების ჩამონათვალი და თანხის მიზნობრივად გახარჯვის ამსახველი დოკუმენტაცია (როგორც მერიის მიერ გაცემული თანხის, ასევე პროექტის თანადაფინანსების შემთხვევაში საკუთარი წილის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები) ფორმა N3-ის შესაბამისად.

3. პროექტი შეიძლება წინასწარ დაფინანსდეს სრულად, კომისიის გადაწყვეტილებით,

თავი III

დასკვნითი დებულება

მუხლი 12. კომისიის წესის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

1. კომისიის წესს ამტკიცებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი.
2. წესში ცვლილებები და დამატებები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საპროექტო განაცხადის ფორმა

1. ინფორმაცია პროექტის წარმომდგენის შესახებ

- **პროექტის წარმომდგენი ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება**

- **ორგანიზაციის დასახელება**

საიდენტიფიკაციო კოდი

- **ორგანიზაციის იურიდიული მისამართი** (ქალაქი, ქუჩა, #)

- **ორგანიზაციის ფაქტიური მისამართი** (ქალაქი, ქუჩა, #)

- **ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია**

ტელეფონი/ფაქსი	ელფოსტა	ვებგვერდი

- **ორგანიზაციის საკონტაქტო პირი**

სახელი/გვარი	
თანამდებობა	
ტელეფონი	
ელფოსტა	

- **ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ** (*ძირითადი საქმიანობის მოკლე აღწერა)*

- **ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები**

(საჭიროებისამებრ, გაზარდეთ ველების რაოდენობა)

პროექტის დასახელება	
განხორციელების პერიოდი	
პროექტის აღწერილობა	

2. <u>ინფორმაცია პროექტის შესახებ</u>

- **პროექტის სახელწოდება**

- **პროექტის ავტორი, ჩართული პირები, საკონტაქტო მონაცემები და ფუნქციები**

- **განხორციელების არეალი:**_----------

- **პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა:**_----------

(ციფრებით და სიტყვიერად)

- **პროექტის მთლიანი ღირებულება:**_----------

(ციფრებით და სიტყვიერად)

- **მერიისგან მოთხოვნილი თანხა:**----------

(ციფრებით და სიტყვიერად)

- **საკუთარი წილი:** ----------

(ციფრებით და სიტყვიერად)

- **განხორციელები ვადები:**_____დან ----------მდე

- **პროექტის მიზნები და ამოცანები**

**რისი მიღწევა გსურთ აღნიშნული პროექტით/ რა მიზანს ემსახურება თქვენი პროექტი. წარმოადგინეთ პროექტის მოკლე და მკაფიო აღწერილობა (არაუმეტეს 500 სიტყვისა)*

- **სამიზნე ჯგუფი**

**მიუთითეთ, კონკრეტულად რომელ მიზნობრივ ჯგუფზეა გათვლილი თქვენი პროექტი, მათი არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზი*

- **პროექტის განხორციელების გზები**

- **ინფორმაცია თანადამფინანსებლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**მიუთითეთ ინფორმაცია თანადამფინანსებლის მონაწილეობის ფორმის შესახებ (დაფინანსება, მომსახურება, მატერიალური ფასეულობის გადაცემა, იჯარა და სხვ.)*

3. <u>სამოქმედო გეგმა</u>

*აღწერეთ პროექტის განსახორციელებლად შემუშავებული სამოქმედო გეგმა (საჭიროებისამებრ, გაზარდეთ ველების რაოდენობა)

ცხრილი N1

N	დაგეგმილი აქტივობის აღწერა	თვეები											
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1.													
2.													
3.													
4.													
5.	საბოლოო ანგარიში												

- **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

**მიუთითეთ განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტიანი მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას, სასურველია მიუთითოთ, აგრეთვე რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს მიერ განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე, საზოგადოებაზე და ა.შ.*

4. <u>მონიტორინგი და შეფასება</u>

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა. მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

5. <u>ფინანსური გაანგარიშება/ხარჯთაღრიცხვა</u>

*პროექტის ერთიანი ხარჯთაღრიცხვა დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად (საჭიროებისამებრ, გაზარდეთ ველების რაოდენობა)

ცხრილი N2

ბიუჯეტი						
ბიუჯეტის მუხლი	ერთეული (ცალი, მეტრი,კგ, თვე)	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	მერიისგან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	აპლიკანტი ორგანიზაციის მიერ გაწეული თანადაფინანსება (ლარი)	სხვა წყაროების მიერ გაწეული თანადაფინანსება (ლარი)
A. ინვენტარი (იჯარა)						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 Lari**
B. ადმინისტრაციული ხარჯები						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
4				0.00 ლარი		
5				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
C მომსახურება						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
ჯამი ყველა პუნქტისთვის				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
პროექტის მთლიანი ღირებულება				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**

6. <u>დანართის სახით წარმოსადგენი დოკუმენტაცია</u>

- ✓ საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირთა რეესტრიდან;
- ✓ გადასახადის გადამხდელის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

--- ---

ხელომოწერა თარიღი

ფინანსური მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი შესრულების შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება და წარდგენა სავალდებულოა. ფორმა წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში)

- **მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების განმახორციელებლის სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება**

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების სათაური

პროექტი

პროექტის დაწყების თარიღი: ----------

პროექტის დასრულების თარიღი: ----------

საპროექტო წინადადების ბიუჯეტი:----------

მოთხოვნილი თანხის ოდენობა: ----------

მიღებული დაფინანსების ოდენობა: ----------

ანგარიშის წარმომდგენის პოზიცია: - - -

- მიაღწიეთ თუ არა პროექტის მიზანს/ამოცანებს?

- იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/ამოცანები სრულად არ იქნა მიღწეული მიუთითეთ, რამ შეგიშალათ ხელი მიზნის/ამოცანების მიღწევაში?

- იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/ამოცანები სრულად არ იქნა მიღწეული, რას შეცვლიდით პროექტში მიზნის მიღწევისათვის?

- რამდენად შესაბამება განხორციელებული პროექტი განაცხადში აღწერილს?

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, გთხოვთ მიუთითოთ რა ვერ განხორციელდა

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი?

- რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?

- დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს?
(პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

- 10 ბალიან სისტემის გამოყენებით რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენს პროექტს?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

- ვისთვის იყო სასარგებლო თქვენს მიერ განხორციელებული პროექტი?

- მიუთითეთ (შეძლებისდაგვარად) ბენეფიციარების რაოდენობა, ვინც მიიღო რაიმე სარგებელი თქვენს მიერ განხორციელებული პროექტიდან?

ფინანსური მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი შესრულების ფინანსური ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება დაწარდგენა სავალდებულოა. ფორმა წარმოდგენილ უნდა იქნა სპროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში)

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების განმახორციელებლის სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების სათაური

პროექტი

პროექტის დაწყების თარიღი: ----------

პროექტის დასრულების თარიღი: ----------

საპროექტო წინადადების ბიუჯეტი: ----------

პროექტით მოთხოვნილი თანხის ოდენობა: ----------

პროექტით მიღებული დაფინანსების ოდენობა: ----------

ანგარიშის წარმომდგენი: ----------

პოზიცია: ----------

სახელი, გვარი: ----------

მისამართი: ----------

ტელეფონი/ელ. ფოსტა: ----------

- **პროექტის განსახორციელებლად მოთხოვნილი თანხის ოდენობა?**

- **პროექტის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?**

თქვენს მიერ გადარიცხული თანხების და მომსახურების სახეების ჩამონათვალი

- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------

- **თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი**

- **რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?**

- **დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს?**

(პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

- **10 ბალიან სისტემის გამოყენებით რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი პროექტის ბიუჯეტს?**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

შევსების თარიღი: _____

ანგარიშის წარმდენი პირის ხელმოწერა: _____